603/2ш/10478

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

1 ივლისი, კვირა, 1990 წ.
№ 122 (10 291) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

შეიცვლო სამივე ვაკანსია

ქეთევან კახიანმა პირველ — მეორე ადგილები გაიყო

აზოვი. მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონთაშორისო ტურნირი დასრულდა, თანაც ყოველგვარი პრობლემების გარეშე. ცნობილია იმ სამი მონაწილის ვინაობა, რომლებიც უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლას გააგრძელებენ. ამჯერად დამატებითი მატჩის ჩატარება არ გახდა საჭირო.

გოლო ტურში ქეთევან კახიანს საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი მეტოქე ჰყავდა — უნგრელი ი. მადლი. ქართველმა მოჭადრაკემ აღმავლობით ჩაატარა ეს მეტად პასუხსაგები შეხვედრა, მოიგო იგი და 11,5 ქულით პირველი ადგილი გაიანაღდა. ცოტა ხნის შემდეგ ამდენივე ქულა აღმოაჩნდა ა. გალიამოვასაც, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამერიკელი ი. ბრუტმანის სახით მას ბოლო ტურში ერთობ სუსტი მეტოქე ჰყავდა. ასეა თუ ისე, კახიანმა და გალიამოვამ პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს.

მესამე საგზური ერგო ჩეხოსლოვაკიელ ე. კლიმოვას, რომელმაც ბოლო შეხვედრა ბულგარელ მ. ვოისკასთან ყაიმით დაამთავრა. კლიმოვამ 11 ქულა დააგროვა.

რაც შეეხება მეორე ქართველ მოჭადრაკეს ქეთევან არახამიას, მან მართალია ბოლო შეხვედრაში გაიმარჯვა ა. ბოტსართან (საბერძნეთი), მაგრამ მხოლოდ 10 ქულა დააგროვა და ამჯერად სამეულში ვერ მოხვდა. სამეულის მიღმა დარჩა ჩინელი ჟ. ჰენიც, რომელიც თითქმის მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერი იყო და მხოლოდ ბოლო ტურებში წარუმატებელი თამაშის შემდეგ გამოაკლდა მთავარ ბრძოლას.

ს უ რ ა თ ზე: ქეთევან კახიანი.

საქართველოს ეროვნული რეგბისტები ფეხბურთში

გორში ადგილობრივმა „დილამ“ ამავე ტურის მატჩში უმასპინძლა სამტრედიის „სანავარდოს“ და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 3:0.

ტურის სხვა მატჩები:

„ივერია“ (ხაშური) — „იბერია“ (თბილისი) 0:3.
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 1:0.
„ლაბახი“ (ცხინვალი) — „მერცხალი“ (ოზურგეთი) 0:4.
„ამირანი“ (ჩიათურა) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 2:1.
„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 2:1.
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:1

პირველი წრის ბოლო მატჩი გაიმართება 2 ივლისს, რუსთავში ადგილობრივი „გორდა“ ლანჩხუთის „გურიას“ უმასპინძლებს.

ყველა ავტორს

ვინც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სიმბოლიკის შესაქმნელად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა, ვთხოვთ გვეწვიონ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ა. წ. 5 ივლისამდე.

მისამართი, თბილისი, კოოპერაციის ქ. № 13.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ვილიშესლეზი ადგილს იცვლიან

როგორც „ქალგირისის“ უფროსმა მწვრთნელმა ზელკიავიჩუსმა განაცხადა, გუნდი დატოვა რამდენიმე მოთამაშემ. ცნობილია, რომ რ. ფრიდრიკასი და რ. მაქეიკასი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გამოდიან (ლანჩხუთის „გურიის“ შემადგენლობაში). ისრაელში ამირებს გამგზავრებას ვ. სუკრისტოვი, ხოლო ა. ნარბეკოვასი, ა. იანონისი და ვ. ივანაუსკასი, როგორც ჩანს, გდრ-ის კლუბებში გადავლენ. მოლაპარაკება ამის თაობაზე უკვე მიმდინარეობს.

საჭადისი „ევროპული აქცენტით“

საქართველოს წყალმოთხილამურეთა შედეგები ამჟამად ევროპის 1991 წლის ჩემპიონატისათვის მზადების თვალსაზრისითაც განიხილება. მოგეხსენებათ, ამ ჩემპიონატს ასისად ფოთმა უნდა უმასპინძლოს.

ამითაც იყო საინტერესო საქართველოს ნაკრების გამოსვლა ბელორუსიის ღია ჩემპიონატში, რომელსაც, ჩვენების გარდა, მოსკოვისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდებიც ატუმრობდნენ. ამან, ცხადია, საგრძნობლად გაამძაფრა კონკურენცია, აამაღლა შეჯიბრების დონე.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, ფოთელებმა გენადი გურალიამ და ვასილ ბუდუროვმა ნამდვილად ისახელეს თავი: გურალიამ I ადგილი დაიკავა სლალომსა და მრავალჭიდში, II იყო ტრამპლინიდან ხტომაში (47,1 მეტრი), III — ფიგურულ სრიალში, ბუდუროვი კი ყველაზე შორს გადახტა ტრამპლინიდან — 49,5 მეტრი.

ნყვილმა ბრძოლა შენყვიტა

ლონდონი. უიმბლდონის ტურნირის მეორე წრე საბჭოთა ჩოგბურთელთათვის (ლეილა მესხი — ნატალია მედვედევას წყვილი) დაუძლეველი ბუდე აღმოჩნდა. ეს დუეტი დამარცხდა ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — იუდიტ ვაისნერის (ავსტრია) ინტერნაციონალურ წყვილთან — 3:6, 3:6.

მესამე წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიელებმა იანა ნოვოტნამ და ჰელენა სუკოვამ (აჯობეს ინგლისელ ჯო დიურისა და ახალზელანდიელ ჯულია რიჩარდსონს — 2:6, 6:3, 6:0), აგრეთვე ენ სმითმა (აშშ) და უენდი ტერნბალმა (ავსტრალია), რომლებმაც მოუგეს ავსტრიულ დუეტს — ნიკოლ პრატსა და კირილი შარპს 6:3, 6:2.

ქართული სპორტის სუვერენიტეტისათვის

...მხოლოდ დამოუკიდებელს ალიარებს

ჩვენში ბევრი რამ, მათ შორის სპორტიც, მეტამორფოზას განიცდის, რომელიც მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებითა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვით არის გამოწვეული. ოღონდ ალტერნატიული ორგანიზაციები იშვიათი გამონაკლისის გარდა, სპორტში არ იქმნება, უბრალოდ, ძველი ფორმის შეცვლა ხდება ახლით. სპორტის ასეთი სახეცვლა საქართველოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის პარალელურად ხდება და ზშირად უსწრებს კიდეც მას (მაგალითად, ფეხბურთი).

აღნიშნული მეტამორფოზა, ჯერჯერობით მაინც, განსაკუთრებული რადიკალიზმით არ გამოირჩევა, რაც ზემოთ ვთქვით კიდეც (ფეხბურთი და იქნებ რაგბიც გამონაკლისები არიან). სპორტის ამა თუ იმ სახეობაში მომუშავე კვალიფიციური კადრები სპორტსაბჭომის სისტემებში შრომობენ და სწორედ ეს განაპირობებს გარდამავალი პერიოდის აღნიშნულ სიმდოვრეს. მისი „მექანიკა“ კი ძირითადად ასეთია: სპორტსაბჭომთან შეიქმნა რამდენიმე გაერთიანება, რომლებმაც მეტი უფლება და დამოუკიდებლობა მიიღეს, ვიდრე სპორტსაბჭომში ადრე არსებულ ამ სახეობის სათანადო განყოფილებას ჰქონდა. ახლა კი ამ გაერთიანებების აქტიური მონაწილეობით თანდათან იქმნება სპორტული ფედერაციები და თუკი ისე წავიდა საქმე, როგორც სალი აზრი მოითხოვს, ახლო მომავალში საქმის წარმართვის სადავე სწორედ ამ ფედერაციებმა უნდა აიღონ ხელში.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს მძლეოსნობის ახალი ფედერაციის შექმნის იდეა. წინდაწინ გეტყვით, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ფედერაციის პრეზიდიუმი აირჩიეს, რადგან ფედერაციის წესდება მთლიანად არ არის შემუშავებული. ნაბიჯი თითქოს ნაჩქარევი ჩანს, მაგრამ ფორსირებასაც თავისი მიზანი ჰქონდა: სექტემბერში მძლეოსნობის ახალი საკავშირო ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა უნდა გაიმართოს და საქართველოს დელეგაცია იქ თავისი ჩამოყალიბებული პოზიციით უნდა წარსდგეს.

ს. ვე. ბ.

ციდისწამება, თანაც როგორი!

ამა წლის 26 ივნისს სახტელერადიოს კომიტეტის პროგრამაში „ხალამი მშვიდობისა, მოსკოვო!“ მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა განაცხადა, რომ გარი კასპაროვი პროფკავშირების სალარიდან ყოველდღიურად 500 მანეთს იღებს, როგორც ლტოლვილი.

ეს უკბილო და, რა თქმა უნდა, შეურაცხმყოფელი ცილისწამება მაშინვე გაბათილდა მოწმეების განცხადებით. აი, რა თქვა ამის შესახებ საკავშირო პროფსაბჭოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ა. ეფიმენკომ:

— მიკვირს, საიდან მიიღო კარპოვმა ასეთი ფანტასტიკური ინფორმაცია. გარის ჩვენგან არავითარი ფული არ წაუღია. ჩვენ მას, როგორც ლტოლვილს, დავეხმარეთ და გამოვუყავით ადგილი საცხოვრებლად ჩვენსავე დასვენების ზონაში. ხარჯებს, იგი, რა თქმა უნდა, თავისი ჯიბიდან ფარავს.

დაახლოებით იგივე გაიმეორა კასპაროვის მწვრთნელმა ა. ნიკიტინმა:

— კასპაროვს საკმაოდ ზშირად ვხვდები და ვიცი, რომ ამჟამად მისი ნათესავები მოსკოვში იმყოფებიან. მაგრამ ცენტრალურ საბჭოს მათ შესანახად, ცხადია, ფული არ გაუცია. გარი თვითონ ქირაობს მათთვის ბინას მოსკოვის გარეუბანში.

ცილისწამებას, ისევე როგორც ტყუილს, საკმაოდ მოკლე ფეხები აქვს.

საიდუმლო კონტრაქტი

ანუ როგორ „დაუფასეს“ ღვაწლი სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს

„სპოვინტერსპორტის“ საარაკო „მადაზე“ ახლა ლეგენდები დადის... სპორტის მოყვარულებს ეცოდინებათ, რომ საკავშირო სპორტხახკომთან ეს ორგანიზაცია იმიტომ შეიქმნა, რომ მოეგვარებინა ურთიერთობა უცხოეთთან ცალკეული კონტრაქტებისა თუ სხვა ხელშეკრულებების დადების დროს. მოკლედ, მან შუამავალი ფირმის როლი იკისრა.

მას შემდეგ ცენტრალური პრესის ფურცლებს არ მოსცილებია „სკანდალური“ ისტორიები, რომლებშიც მთავარ „გმირად“ სწორედ „სოვინტერსპორტი“ გვევლინებოდა. ბევრს ემახსოვრება რიგელი კალათბურთელის ულიანა სემიონოვას — ამბავი, როცა იგი თავის გამოხაკვებად იძულებული გახდა, ესპანეთში (სადაც ის კონტრაქტის თანახმად თამაშობდა) კონხერვები წაელო, გეხსომებათ ისიც, უცხოეთში მყოფი სპორტსმენები თავიანთ ფინანსურ სიძნელეებზე რომ ჩიოდნენ. მოკლედ, მონოპოლიურმა ერთმმართველობამ „სოვინტერსპორტი“ ყველაზე შეუბრალებელ მონოპოლიტად აქცია. მისთვის, ეტყობა, არ არსებობს არავითარი ტიტული და დამსახურება. ამას ვამბობთ თუნდაც იმიტომ, რომ მან მორიგი ოინი ჩვენი ხახელოვანი ხპორტსმენის, ხამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ვიქტორ სანეევის მიმართ გამოიყენა.

ამ ისტორიის მოკლე არხი ასეთია: ახალი ზელანდიის ბავშვთა ინსტიტუტმა გადაწყვიტა ორი წლით ვიქტორ სანეევის სამუშაოდ მიწვევა. კონტრაქტის დადებაში, რა თქმა უნდა, „სოვინტერსპორტი“ ჩაერია და „თავის თარგზე“ წაიყვანა საქმე. წაიყვანა და ჩაშალა კიდეც: ახალზელანდიელები არ დაეთანხმნენ „სოვინტერსპორტის“ მიერ წამოყენებული პირობის ორ მუხლს და ვიქტორ სანეევს თავაზიანი უარი შეუთვალეს. ყველაზე ხაოცარი (თუმცა, რატომ ხაოცარი?) ისაა, რომ სახელოვანმა მძლეოსანმა ვერც მოსკოვური ორგანიზაციისაგან და ვერც ოკეანისგაღმელთაგან ვერ შეიტყო, თუ რა მუხლები იყო ეს. „სოვინტერსპორტმა“ მთლად პირში წყალი ჩაიგუბა ამ საკითხზე, თუმცა კონტრაქტის მიხედვით (თუკი ახალი ზელანდიის ინსტიტუტი დაეთანხმებოდა) უდიდესი წილი თვითონ მოითხოვა და ვიქტორ სანეევისთვის მხოლოდ თვეში 800 დოლარი უცხოელი მელიტე ბიჭის ხელფასი გათვალისწინა.

ამ ამბავში ყველაზე უარესი ის არის, რომ „სოვინტერსპორტის“ ულტიმატუმით, ვიქტორ სანეევმა, წოდებით პოლკოვნიკმა, მიატოვა ხამხედრო ხამსახური, როცა პენსიამდე სულ ორი წელიღა აკლდა. ახლა „სოვინტერსპორტის“ ჩინოვნიკები თავს იმართლებენ: „ჩვენ გთხარით, რომ ხამხედრო ხამსახურიდან მაშინ უნდა წამოსულიყავი, როცა უშუალოდ კონტრაქტის ხელმოწერის დრო დადგებოდაო.

„მათ მხოლოდ ჩემი ნახტომები სჭირდებოდათ“! — თქვა შემდეგ ვიქტორ სანეევმა. ნათელია, როცა ასე ეპყრობიან უნიკალური შედეგებისა და ხპორტული ბიოგრაფიის მქონე ხპორტსმენს, სხვებს როგორღა მოეკიდებიან?

გიორგი ჩოგოშვილი.

„ლელომ“ შეკითხვები დასვა — „ლელოს“ უპასუხებენ — საქართველოს X სპარტაკიადა

რკინიგზელები — ეროვნულ საქმეს

1. პროფკავშირების განთავისუფლებას დიქტატისაგან მივესალმებით, ვიწონებთ. სხვა ძვრებთან ერთად, საჭიროა საქართველოში ეკონომიკის განვითარება, ანუ ეკონომიკური წინსვლა, რაც დარგის მშრომელების მიერ გაჯანსაღების პრობლემების წარმატებით გადაჭრასაც გულისხმობს.

დღეისათვის შექმნილია და ფუნქციონირებს „ლოკომოტივის“ 6 სპორტული კლუბი, ბავშვთა და მოზარდთა 4 სპორტული სკოლა, 9 სპორტული ნაგებობა. სპორტული კლუბი „ლოკომოტივი“ აერთიანებს 131 ფიზკულტურის კოლექტივს, სადაც 37 შტატიანი საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტი მუშაობს.

გარდა ამისა, გვყავს 4 შტატიანი ოსტატთა გუნდები. გახსნილია 6 სპორტული სექცია.

დამოუკიდებელმა პროფკავშირმა უნდა დააფინანსოს სპორტული კლუბები და ფიზკულტურის კოლექტივები, მშრომელი ადამიანების გაჯანსაღების საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა საგზაო კომპლექსური პროგრამა „ჯანმრთელობის“ სრული დანერგვა და სრულყოფა.

2. მართლაც მოძალებულია სტერეოტიპი. მუშათა მომარაგების თბილისის და სამტრედიის განყოფილებებში, ბევრ სხვა ორგანიზაციებში ისევ ძველებურად მუშაობენ. დიახ, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში ფიზკულტურის კოლექტივებს უნდა მიეცეთ სრული თვითმმართველობა.

ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ყველა დარგში მუშათა შრომის სპეციფიკის გათვალისწინებით და მეცნიერების დახმარებით უნდა შეირჩეს ფიზიკური გაჯანსაღების ეფექტური საშუალებები და ფორმები.

3. საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის შტატი არ არის რკინიგზის საავადმყოფოში, მუშათა მომარაგების სამტრედიისა და თბილისის განყოფილებებში და ა. შ.

საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების შტატების დამატებასთან დაკავშირებით არ სრულდება გზის უფროსის ბრძანება, აგრეთვე ის ბრძანებაც, რომელიც ითვალისწინებს დარგში მომუშავე ფიზკულტურის მეთოდისტებისათვის ხელფასის მომატებას.

4. ფიზკულტურის კოლექტივებში განსაკუთრებული ღონისძიებები არ გატარებულა მატერიალურ-სპორტული ბაზის განსამტკიცებლად. „ლოკომოტივის“ საგზაო სპორტული კლუბის დაფინანსება ძალზე უმნიშვნელოა, რაც უარყოფითად მოქმედებს სპორტული ქსელის გაფართოების, დასვენების ზონების, აღდგენითი ცენტრების მოწყობის საკითხების გადაჭრაზე.

ჯერ კიდევ რჩება აუთვისებელი თანხები შრომით კოლექტივებში. დღემდე არ მოხსნილა შეზღუდვა გადარიცხვით სპორტული საქონლის შეძენაზე.

5. საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთელი პროფკავშირული საქმიანობის ახლებურად გააზრებაზე, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზე.

სპორტსაზოგადოება „შევარდენთან“ მუდამ ვითანამშრომლებთ ამ სპორტსაზოგადოების წესდების შესაბამისად.

6. დღეია პროფკავშირების ფუნქცია ფიზკულტურის კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან არ იზრუნოს დიდი სპორტის განვითარებისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეროვნული სპორტისათვის თანხები ყველამ უნდა გამოყოს.

საქართველოს თავისუფალმა პროფკავშირებმა, ცხადია, „ლოკომოტივი“ უნდა შეიტანოს რესპუბლიკის სპორტული ტრადიციების ღირსეულად გაგრძელებისა და მისი პოზიციების შემდგომი განმტკიცების, ერის გაჯანსაღების საქმეში.

რ. ბუბანიშვილი,
რკინიგზის მუშაკთა და სატრანსპორტო მშენებლობის პროფკავშირების საგზაო საბჭოს თავმჯდომარე.

ვინ არის დასავლეთში?

წინდაწინ ვიტყვით, რომ ამ შეჯიბრების პრიზიორთა შორის ბევრი მოჭიდავე იყო დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან. ეს კი, თავის მხრივ, იმ სასიამოვნო ტენდენციაზე მიუთითებს, რომ ახლა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ფალავნები კი არ ფალავნობენ, არამედ დასავლეთშიც აშკარად გაიზარდა ინტერესი სისხლხორცეული, მამაპაპური სპორტის სახეობის — ქართული ჭიდაობის მიმართ. ასპარეზობაც იქ მოეწყო, კერძოდ, ტყიბულის სპორტის სასახლეში ჩატარდა.

ამ ფინალურ ტურნირს წინ უძღოდა ორი ტრადიციული პრინციპით დაყოფილი ზონალური შეჯიბრება — დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გუნდებისათვის, მათი რაოდენობა მცირე არ ყოფილა: ხაშურში 23 კოლექტივის 140 სპორტსმენი ცდიდა ძალას, ტყიბულში კი უფრო მეტი— 196 მოჭიდავე, რომლებიც ასევე 23 გუნდს წარმოადგენდნენ.

ფინალურ ტურნირში სხვებისგან გამოირჩეოდნენ გორის, ქუთაისის, ყვარლის, რუსთავის, ლაგოდეხის, ვანის, ზესტაფონის გუნდები. ეს საკვირველი არ უნდა იყოს, თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ მათ შორის ზოგს წარმატებების ჩინებული ტრადიცია მოსდგამთ, ზოგი კი ბოლო პერიოდში გაწეული შრომის ნაყოფს იმკის. საკვირველი უფრო იყო ახმეტის, ქარელის, კასპის, საგარეჯოს, თელავის, გარდაბნის, დუშეთის სპორტსმენთა სუსტი გამოსვლა. ამ ფონზე ბორჯომის, ასპინძის, ჰიათურის, ახაშის, ხობის, მარტვილის, მესტიისა და სხვათა გუნდების მიერ ასპარეზობის გამოტოვება იქნებ არაფრად გამოჩნდება. გორელთა გუნდი კი დასაწყისში იმიტომ აღვნიშნეთ, რომ იგი მართლაც უძლიერესი იყო, რაც თვალნათლივ დაამტკიცა კიდეც — მოიგო გუნდური პირველობა. თავის წილ შექებას იმსახურებენ ქუთაისელი ფალავნები, რომლებმაც მეორე ადგილი დაიკავეს.

ტყიბულში ბევრი საინტერესო შეკრინება გაიმართა და მათ შორის საუკეთესოების გამოყოფა არც ისე იოლი საქმეა. მაინც ვცდით: ძალზე საინტერესოდ ჩატარდა გურჯაანელი კ. ხაჩაშვილის (64 კგ) შეხვედრა თბილისელ მ. ყრუაშვილთან, რომელიც პირველმა მოიგო. 84 კგ წონით კატეგორიაში მეტად ძლიერი შემადგენლობა იბრძოდა პირველი ადგილისათვის და ასეთ პირობებში გორელი ნ. ჯალაბაძის გამარჯვება სათანადოდ უნდა შეფასდეს.

ყველას ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო მძიმე წონის ფალავანთა შეხვედრებმა. ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საგარეჯოელი კ. კუპატაძე და ყვარელელი ბ. მათიკაშვილი. კუპატაძე უკვე ცნობილი, გამოცდილი ფალავანია და მან ამჯერადაც შეძლო გამარჯვების მოპოვება...

2 1 3 ქვარცხლები

56 კგ. 1. შ. დორეული (თბილისი); 2. ნ. კოშმატიშვილი (რუსთავი); 3. ე. გოშხეთელიანი (ვანი).

60 კგ. 1. ლ. გულედანი (ქუთაისი); 2. გ. ოცაღუტაშვილი (ყვარელი): 3. თ. ბასილაძე (ტყიბული).

64 კგ. 1. ბ. ხაჩაშვილი (გურჯაანი); 2. მ. ყრუაშვილი (თბილისი); 3. ზ. ნატროშვილი (ყვარელი).

68 კგ. 1. მ. ავაზნელი (გორი); 2. შ. ბენიძე (თელავი); 3. გ. ავაზნელი (გორი).

72 კგ. 1. ვ. გიორგაშვილი (გორი); 2. ი. ჯიმშელეიშვილი (ქუთაისი); 3. მ. ნადირაძე (თბილისი).

78 კგ. 1. ვ. კაკაშვილი (გორი); 2. ზ. ბალიაშვილი (თბილისი); 3. ქ. ჩიხრაძე (ონი).

84 კგ. 1. ნ. ჯალაბაძე (გორი); 2. თ. ფირცხალავა (ზუგდიდის რაიონი); 3. მ. კუპატაძე (ლაგოდეხი).

90 კგ. მ. მაისურაძე (ხაშური); 2. კ. თაყაძე (რუსთავი); 3. კ. ნადირაძე (გორის რაიონი).

+90 კგ. 1. კ. კუპატაძე (საგარეჯო); 2. ბ. მათიკაშვილი (ყვარელი); 3. თ. ჯალაბაძე (გორი).

გუნდური. 1. გორი; 2. ქუთაისი; 3. თბილისი.

* * *

სურათზე: საქართველოს X სპარტაკიადაში გამარჯვებული ფალავნები. მარცხნიდან პირველ რიგში: შ. დორეული, ლ. გულედანი, მ. ავაზნელი, მეორე რიგში: ბ. ხაჩიშვილი, ბ. გიორგაშვილი, ვ. კაკაშვილი, ნ. ჯალაბაძე, მ. მაისურაძე, კ. კუპატაძე.



ზემოდან საქმეში ჩარევა დაუშვებელია

18 მაისს ჩატარდა სატყეო, ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა სრულიად საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირის პირველი ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა დარგობრივი პროფკავშირის წესდება და ძირითადი მიმართულებანი.

ამიერიდან დარგობრივი პროფკავშირი თვითონვე განსაზღვრავს თავის მოქმედების პროგრამას როგორც შრომის პირობების გაუმჯობესების, ისე დარგის მშრომელების ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებით.

როცა ლაპარაკია დამოუკიდებელ დარგობრივ პროფკავშირზე, იგულისხმება დამოუკიდებელი პირველადი ორგანიზაციები, მასში შემავალი კულტურული და სპორტული კოლექტივები, კლუბები. დარგის სისტემაში ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს ენიჭება სრული დამოუკიდებლობა. დაუშვებლად მიგვაჩნია ზემოდან ღონისძიებების ჩატარების კარნახი. ფიზკულტურულმა კოლექტივებმა თავად უნდა შეიმუშაონ ფიზიკური გაჯანსაღების ფორმები, რა თქმა უნდა, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით.

ფიზკულტურის მეთოდისტების შტატის შემცირება ჩვენს დარგში არ მომხდარა. პირიქით, მათი რიცხვი იმატებს. 1985 წლისათვის შრომით კოლექტივებში მუშაობდა ფიზკულტურის 9 ინსტრუქტორ-მეთოდისტი, ამჟამად მათი რიცხვი 10-მდე გაიზარდა. სასურველია, წლის ბოლომდე ამ რიცხვმა 14-ს მიაღწიოს.

არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტული ბაზების დღევანდელი მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. დროა პროფკავშირებმა აქტიურად მოჰკიდონ ხელი მშრომელთა ჯანმრთელობის გაჯანსაღების საქმეს. გათვალისწინებულია დარგის თითქმის ყველა ორგანიზაციებში მოეწყოს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. მომავალ ხუთწლედში დამთავრდება თსსგ „განთიადის“ სპორტული ბაზის კაპიტალური შეკეთება, სამტრედიის ხის დამმუშავებელ კომბინატში სპორტკომპლექსის მშენებლობა და ახმეტის სატყეო კომბინატისა და სგ „საქჭაღალდრეწვის“ სტადიონების რეკონსტრუქცია.

დარგის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაფინანსება წლის დონეზეა შენარჩუნებული და აღემატება 80.000 მანეთს. ამ თანხის ნაწილი აუთვისებელი რჩება იმის გამო, რომ დღემდე არ მოხსნილა შეზღუდვა გადარიცხვით სპორტული საქონლის შეძენაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დამოუკიდებლობის მოპოვება მართლაც კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთლიანად პროფკავშირულ საქმიანობაზე და, რა თქმა უნდა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზე. მისი გაძლიერება გვესახება მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფიზკულტურული კოლექტივების შესაძლებლობების განმტკიცებით.

სპორტსაზოგადოება „შევარდენთან“ ურთიერთობა უნდა მოხდეს ხელშეკრულების საფუძველზე, შეთანხმებისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირები არამც და არამც არ თავისუფლდებიან დიდი სპორტის სამი ზრუნვისაგან, მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ქართული ეროვნული სპორტი დღეს მხოლოდ პროფკავშირების საზრუნავი არ არის, იგი, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, მთელი ერის საქმეა და პირველ რიგში მის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს რესპუბლიკური სპორტული ორგანიზაციები. ჩვენი აზრით, საქართველოს თავისუფალმა პროფკავშირებმა ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის სპორტული ტრადიციების ღირსეულად გაგრძელებას. ვფიქრობთ, ჩვენს დარგში მივაღწევთ იმას, რომ მსხვილ საწარმოთა სპორტული გუნდები მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში.

ჯ. სალიაშვილი,
ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური სათათბიროს თავმჯდომარე.

სპორტული ივლისი

1-6. ტყვიის ხროლა. საქართველოს პირველობა 1972-73 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. **თბილისი.**

1-8. აფროსნობა. საქართველოს თასის გათამაშება X სპარტაკიადის პროგრამით. **ფოთი.**

3-8. სახტენდო ხროლა. საქართველოს პირველობა 1971-72 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის. **თბილისი.**

3-9. წყალბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (ვაჟები). II ტური. **თბილისი.**

5-8. რესპუბლიკური ხაჯაზო სპარტაკიადა დევიზით „მთელი ოჯახით სტარტზე“. **ჰიათურა.**

5-8. ძიუდო. საქართველოს პირველობა 1970-73 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის. **გორი.**

11-22. ველოსპორტი. საკავშირო შეჯიბრება მრავალდღიან საგზატკეცილო რბოლაში (ქალები). **თბილისი.**

კონტროლზეა

„ლელოს“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 1988 წლის 10 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „სპორტული სარბიელი მიტაცეს“. მასში აისახა ნოსირელი ახალგაზრდების გულისტკივილი სპორტული მოედნის მიტაცებასთან დაკავშირებით.

გაზეთში დაბეჭდილ წერილს ახლდა რედაქციის მიედის მომცემი მინაწერი იმის შესახებ, რომ ნოსირელი ახალგაზრდების გულისტკივილს უყურადღებოდ არ დასტოვებდა რაისაბჭოს აღმასკომი.

ჩვენთვის უცნობია რაისაბჭოს აღმასკომის პასუხი რედაქციისადმი, მაგრამ, ის კი ცხადია, რომ საქმეს სასიკეთო პირი არ უჭირს. მოედანს აგრომრეწვის საწარმოო დაეპატრონა და ჩვენი გულისტკივილი სრულიადაც არ აწუხებს. აგრომრეწვის ხელმძღვანელობას რომ ნოსირელი ახალგაზრდების სამართლიანი მოთხოვნისათვის ანგარიში გაეწია, ადგილის გამონახვა არ გაუჭირდებოდა.

დღეს საჯაროობისა და გარდაქმნის ვითარებაში ასე განუსჯელად მოქმედება უხერხულია. ნუთუ ვერაფერს დაგვეხმარებით?

ზ. კოკაია, ა. გესელია, ზ. მაშავა, ზ. შონია, ვ. კილასონია, ვ. ჩიქოვანი, ლ. კოკაია, შ. კოკაია, ზ. ჩიქოვანი, ლ. კილასონია.

* * *

რედაქციისაგან: „ლელოს“ 1988 წლის 10 სექტემბრის ნომერში მართლაც დაიბეჭდა ნოსირელი ახალგაზრდების ერთი ჯგუფის მიერ ხელმოწერილი გულისტკივილით აღსავსე წერილი, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მას შემდეგ თითქმის ორი წელია გასული და არაფერი შეცვლილა.

ვფიქრობთ, აგრომრეწვის ხელმძღვანელობას ორი წელი არ დახჭირდებოდა, რომ გაეუქმებინა ხაკუთარი „ძალაუფლება სპორტულ მოედანზე“. უბრალოდ, მას, ალბათ, არ სურს „მონოპოლიის“ დათმობა.

ახალგაზრდები კი კვლავ უსარბიელოდ რჩებიან.

იქნებ ამჯერად მაინც გამოიღოს ხელი სახალხო დეპუტატთა რაიხაბჭოს აღმასკომმა, ჩაერიოს საქმეში და აგრომრეწვსა და სოფლის ახალგაზრდობას — ორივეს კუთვნილი მიაგოს...

წერილი „ლელოს“ კონტროლზეა.

ასე გამოიყურება სოფელ ნოსირის ყოფილი სპორტული მოედანი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„მზიური“ (ბალი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 4:2 (1:1)

თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 29 ივნისი.

„მზიური“: მაკალარაშვილი (ა. ჩხეტია), პეტრაუსკასი, ფარფალია, დ. ღურწკაია, ხურცილავა, გაბისონია, ჯღარკავა (დ. ჩხეტია), ეთერია (კაკავა), ბალტუშნიკასი, ხარჩილავა, ქანთარია.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი, წიქარიშვილი, ბერაძე, ვ. ფეხტვენიძე, რ. იობიძე, ცნობილაძე, ხუნდაძე, ლ. ფეხტვენიძე, გოგელაძე (ჯ. იობიძე), ხარაბაძე.

მსაჯები: შ. ხანიაშვილი, დ. თოდუა, ა. შილაკაძე (ხამიენ — თბილისი).

ამ შეხვედრაში მასპინძლის როლში გალის „მზიური“ მოგვევლინა, რადგანაც ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ გალის სტადიონს ოთხი კალენდარული მატჩით მისცა დისკვალიფიკაცია. ორივე გუნდი პირველი წრის ბოლო შეხვედრას ატარებდა და გასაგებია დაძაბულობა — „მზიური“ და „სამგურალი“ სატურნირო ცხრილში აუტსაიდერთა რიგებში არიან.

თამაში დაზვერვის გარეშე დაიწყო. ორივე კართან თანაბრად შეიქმნა სახიფათო მომენტები. პირველი ბურთი კი მახვილგონივრულად გათამაშებული მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ 28-ე წუთზე გალელმა ჯღარკავამ გაიტანა. ოთხი წუთი დასჭირდა მეტოქეს ანგარიშის გასათანაბრებლად, მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს მაღალ ნახტომში შესწვდა ვ. ფესტვენიძე და მახვილი კუთხიდან თავით, ულამაზესი ბურთი გაიტანა — 1:1.

მეორე ნახევარი უფრო ენერგიულად „მზიურმა“ დაიწყო. გაბისონიამ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ შეხვედრაში, მეორედ აიღო „სამგურალის“ კარი — 2:1. „სამგურალმა“ მეორედაც შესძლო ანგარიშის გათანაბრება. ეს 65-ე წუთზე ლ. ფესტვენიძემ იმარჯვა — 2:2.

ყველა გატანილი ბურთი ერთმანეთზე შთამბეჭდავი იყო, მაგრამ „მზიურის“ თავდამსხმელის ხარჩილავას მიერ შორი მანძილიდან გატანილი ბურთი, ჩვენი აზრით, მაინც გამოირჩეოდა — თავდამსხმელმა 25 მეტრის მანძილიდან მოუმზადებლად, უძლიერესი დარტყმით, მეკარისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში მესამე ბურთი გაიტანა. წერტილი კი შეხვედრას გაბისონიამ დაუსვა, რომელმაც მე-80 წუთზე ახლო მანძილიდან აიღო „სამგურალის“ კარი — 4:2. გაბისონიას შეეძლო ამ შეხვედრაში ჰეთრიქიც შეესრულებინა, მაგრამ 75-ე წუთზე მის მიერ დარტყმული პენალტი ძელმა მოიგერია.

ზაზა ქაბაძე.

თასი — ნაკიფუს საშუალო სკოლას

ვალენჯიხის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჭაბუკთა კიდევ ერთ საინტერესო ტურნირს ჩაუყარა საფუძველი — რაიონში პირველად გათამაშდა ნოდარ ახალკაცის გარდამავალი პრიზი. საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 17 საშუალო სკოლის გუნდმა. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ წალენჯიხის I და ნაკიფუს საშუალო სკოლების გუნდები. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვეს ნაკიფუს ნორჩმა ფეხბურთელებმა და გარდამავალ თასსაც ისინი დაეუფლნენ.

გ. მეგობია,
წალენჯიხის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს სარეკორდო შემოსავალი მოუტანა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის გუნდების მატჩმა. მხოლოდ ბილეთების რეალიზაციით მიღებულია 4,4 მილიონი დოლარი.

არგენტინელი კლაუდიო კანიჯა ყველაზე სახიფათო მოწინააღმდეგეა მცველთათვის. სწორედ ამ თავდამსხმელთან არასწორი თამაშისთვის გააძევეს მსაჯებმა მინდვრიდან სამ. ფეხბურთელი: კანა ბიიკი, მასინგი (ორივე — კამერუნი) და ვლადიმერ ბესონოვი.

ახლა იტალიაში სხვადასხვა კლუბების უამრავმა სელექციონერმა მოიყარა თავი. ფორმდება კონტრაქტები, ხელშეკრულებები... ზოგიერთ მათგანზე უკვე ვიტყობინებოდით, არის სიახლეებიც: „პიზა“ აპირებს კამერუნელი სირილ მაკანაკის შეძენას, „გენუასა“ და „სამპდორიას“ კი ალექსეი მიხაილიჩენკოსთან სურთ კონტრაქტის დადება.

იტალიური კალეიდოსკოპი

1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატი 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის ავსტრალიაში გაიმართება. ამ პირველობას კვლავ ამერიკული კომპანია „კოკა-კოლა“ დააფინანსებს.

გაზეთ „ლოს-ანჯელეს ტაიმისის“ საფეხბურთო მიმომხილველს ადრე სულ სხვა კუთხით იცნობდა მთელი მსოფლიო. აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი ფეხბურთის დიდი მოყვარული და მცოდნეა. ეს „ავადმყოფობა“ მას ბავშვობიდან მოჰყვება. 67 წლის პოლიტიკოსი ამჟამად იტალიაში იმყოფება, ამასთან, იგი 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ.

იუგოსლავიელი არბიტრი ზორან პეტროვიჩი ფინალური მატჩის მსაჯობის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იუგოსლავიის ნაკრებმა მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა ფიფა-ს წესების თანახმად, მას აღარა აქვს 8 უძლიერესი გუნდის მატჩების მსაჯობის უფლება. სადღეისოდ მსოფლიო ჩემპიონატი სულ 20 არბიტრმა დატოვა, მათ შორის ალექსეი სპირინმაც.

რომაელმა ექიმმა ანდრეა ფრასკარელიმ იპოვა საფული, რომელშიც 3,5 მილიონი ლირა (2900 დოლარი) იდო. ფრასკარელიმ მოიძია საფულის პატრონი, ირლანდიელი ჟურნალისტი და უკლებლივ დაბრუნა ფული. ეს საქციელი ღირსეულად შეაფასეს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა და პატიოსან ექიმს საჩუქრად გადასცეს ფინალურ მატჩზე დასასწრები ბილეთი.

ამერიკული ესტრადის ვარსკვლავმა მადონამ შეიძინა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ბილეთი, მაგრამ გაცხადდა, რომ თამაშს იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაესწრება, თუ ფინალში იტალიის ნაკრები გავა. გარდა ამისა, იტალიური წარმოშობის სუპერვარსკვლავმა 10 ივლისს რომში თავის კონცერტზე დაპატიჟა „სკუადრა აძურას“ მთელი შემადგენლობა.

გფრ-ის ნაკრების კაპიტანმა ლოტარ მათეუსმა მილანის „ინტერთან“ კონტრაქტი 1993 წლამდე გააგრძელა, დამატებით ორი მილიონი დოლარი მიიღო.

იტალიური კლუბების სელექციონერები დიდად დაინტერესდნენ რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელებით. მარიუს ლეკეტუშმა წინასწარ 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „ფიორენტინასთან“, ფლორინ რადუჩიო კი ბარიში გაემგზავრა ადგილობრივი კლუბის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად.

ჩეხოსლოვაკიელმა ტომაშ სკუხრავიმ 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მომავალი წლიდან „გენუას“ შემადგენლობაში ითამაშებს. კონტრაქტის თანხა 3 მილიონი დოლარია.

ყველაფერი — სახბიუჯეტს?

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრების პირველ ეტაპზე დამარცხების შემდეგ გამოვლინდა ზოგიერთი ფრიად უსიამოვნო ამბავი, რომელიც ჩრდილს აყენებს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრესტიჟს. ჩვენს ცენტრალურ პრესაში ამის თაობაზე არაფერი დაწერილა, მაგრამ 28 ივნისის „იზვესტიაში“ მაინც გამოჩნდა ცნობა, რომელიც ფარდას ხდის საბჭოთა ფეხბურთის ცენტრალური მმართველი ორგანოს აკრძალულ ფანდებს.

დასავლეთის ქვეყნების პრესაში, კერძოდ, ფრანგულ გაზეთ „ეკიპში“ გამოჩნდა ცნობა, რომელიც იტალიურმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს: „სენსაციად იქცა საბჭოთა ნაკრებში მომხდარი სკანდალი. გუნდის მოთამაშეებს არ გადაუხადეს ის ფული, რომელიც მათ ხელშეკრულებით ეკუთვნოდათ. ფეხბურთის საბჭოთა ფედერაცია თავის მოთამაშეებს დაპირდა, რომ 3 მატჩში მონაწილეობისთვის გადაუხდიდა იმ თანხის 20 პროცენტს, რომელიც მას სპონსორებისაგან ჰქონდა მიღებული. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ გუნდი მალე გამოეთიშა ტურნირს, სსრ კავშირის სპორტის ხელმძღვანელობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაპირები არ შეასრულა“

საბჭოთა ფეხბურთელებმა პროტესტის ნიშნად უარი განაცხადეს შინ გამგზავრებაზე.

მაგრამ, მაინც, რატომ ჩასხდნენ თვითმფრინავში საბჭოთა ფეხბურთელები? იტალიური „რეპუბლიკა“ ამტკიცებს, რომ კონფლიქტი რამდენადმე შერბილდა და თავიანთ განზრახვაზე იტალიაში დარჩენის შესახებ მოთამაშეებმა უარი თქვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი წარმომადგენლები რიბატ დასავეის მეთაურობით შეხვდნენ და ესაუბრნენ ფედერაციის ხელმძღვანელობას. კონფლიქტი კი შენელდა, მაგრამ ფეხბურთელებს კუთვნილი ფული დღემდე არ მიუღიათ.

„იზვესტიის“ კორესპონდენტები ალნიშავდნენ, რომ ფრიად უხერხულად გრძნობენ თავს ჩემპიონატის პრეს-ცენტრში, როცა უცხოელი კოლეგები ეკითხებიან თუ რა მოხდა, რატომ არ გადაუხადეს ფეხბურთელებს ფული, მათ კი პასუხის გაცემა უჭირთ. კორესპონდენტები (ა. ილუში, მ. ილინსკი, ვ. პერშინი) იმედს გამოთქვამენ, რომ ეს მძიმე სიტუაცია გაირკვევა და მათაც საშუალება მიეცემათ გარკვევით უპასუხონ უცხოელ რეპორტიორებს. გარდა ამისა, „იზვესტიაში“ გამოქვეყნდება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. კოლოსკოვის ინტერვიუც, სადაც ლაპარაკი იქნება კონკრეტულად ამ ფულზეც და სხვა ამბებზეც.

ეს გასაიდუმლოებული წარსული...

ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ ის დრო, როცა თბილისის „დინამოს“ რიგებში მურთაზ ხურცილავა გამოჩნდა — ბრგე, ჩახხმული აგებულების პროვინციელი ბიჭი. მაშინ ბევრს არ ეგონა, მისგან თუ ფეხბურთელი დადგებოდა, მოჰიდავეობასა და ძალოსნობას „აბრალებდნენ“. ერთადერთ კაცს, ანდრო ჟორდანიას, სწვამდა მისი ტალანტისა და გაუმართლა კიდეც: ბანძელმა ბიჭმა მსოფლიო ვალპარაკა.

სამწუხაროდ, მე არ მინახავს მურთაზ ხურცილავას თამაში. მახსოვს მხოლოდ მისი გასაცილებელი მატჩი, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრები და თბილისის „დინამო“ შეხვდნენ ერთმანეთს. პატარა ვიყავი, მაგრამ ვიგრძენი, როგორ მეტკინა პირველად ფეხბურთის მიზეზით გული — მურთაზ ხურცილავამ საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით ამჯობინა გამომშვიდობებოდა საყვარელ საქმიანობას. იმ გულისტკენამ მრავალი კითხვა წარმოშვა ჩემში, რომლისთვისაც მხოლოდ წლების შემდეგ შევძელი ჩამომეხსნა იდუმალების საბურველი. თუმცა... ჩამოვხსენი კი?!..

● **ბატონო მურთაზ, თქვენ ინგლისსა და მექსიკაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე ხართ. დღეს, როდესაც იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის კარი მკაცრად მოგვიხურეს ქართველებს, კიდევ ერთხელ ხომ არ გაიხსენებთ თქვენთვის იმ ბედნიერ წლებს?**

— გასახსენებელი ბევრი მაქვს, მაგრამ მინდა ის მოვიგონო, როგორი დაჩაგრულები ვიყავით საბჭოთა ფეხბურთელები. ყველა მონაწილე გუნდი, რომელიც ვერ მიაღწევდა ფინალამდე, ჩემპიონატზე რჩებოდა დამთავრებამდე. გამონაკლისი მხოლოდ საბჭოთა ნაკრები იყო. მექსიკაში ასეთი კურიოზიც მოხდა: საერთოდ, ფიფა თაეის თავზე იღებს რკვეულ თანხას იხდის. ხელი ვერ მოვკიდე იმ კონვერტს, მაშინ დელეგაციის ერთ წევრზე ორი დამსმენი მოდიოდა... ახლა ამას ყველაფერს უბრალოდ ვიხსენებ, მაგრამ ამ მოგონებების უკან დიდი ვნებათაღელვები დგას.

● **თქვენ მინდორს მიღმა მომხდარი შემთხვევები გაიხსენეთ. თუმცა, ერთი ამგვარი კურიოზი ხომ მინდორზეც მოხდა, კერძოდ, ურუგვაელებთან შეხვედრაში ხაზზე გადახული ბურთი გავიდა ჩვენს კარში, ნაკრებში კი შეცდომა ჭართველებს ბრალდებოდათ. თქვენზეც ხომ არ იმოქმედა ამ წესმა?**

— ბურთი რომ გადასული იყო, ეს ნაღდია, მაგრამ ჩვენი შეცდომა ის გახლდათ, რომ არ უნდა გავჩერებულიყავით და არ დავლოდებოდით მსაჯის სასტვენს. ვერ ვგეტყვით, მე დამბრალდა თუ არა ეს შეცდომა, მაგრამ რომ შემცვალეს, ეს ფაქტია. საერთოდ, ჩვენ გვიჭირდა ნაკრებში თამაში, იმის გამო, რომ მწვრთნელები გვეშლიდნენ იმპროვიზაციულ თამაშს, ზოგჯერ დავალებაც მქონდა ასეთი, ვიდრე 0:0 იქნება ანგარიში, მეტოქის ნახევარზე არ გადახვიდეო. თუ გადავსულვარ, მაშინვე „Хурцилава, назад“ — მესმოდა მწვრთნელის ხმა. ამიტომ ხშირად „ჩარჩოებში“ გვიწევდა თამაში.

● **საინტერესოა, ფუნქციონერები თუ ერეოდნენ ნაკრების დაკომპლექტებაში?**

— ხშირად ერეოდნენ. ერთ შემთხვევას გავიხსენებ. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში გმონაწილეობდით, ჩვენი მწვრთნელი ა. პონომარიოვი იყო. იმ წელს ჩემპიონი ვოროშილოვგრადის „ზარია“ გახდა და მისი ექვსი წარმომადგენელი მიიწვიეს ოლიმპიურ ნაკრებში. დელეგაციის ხელმძღვანელი ზინჩენკო იყო, ვოროშილოვგრადელი კი. ზოგჯერ, როცა პონომარიოვი ვარჯიშს საჭიროდ არ ჩათვლიდა, ზინჩენკოს ცალკე გაჰყავდა „თავისი ხალხი“ და მატჩისთვის ამზადებდა. ამის გამო გუნდი თითქმის გათიშული იყო.

● **გახსენებელი მართლაც ბევრი გაქვთ, მაგრამ იქნებ გამოარჩიოთ უყველაზე ბედნიერი და ხამწუხარო დღე თქვენი სპორტული ცხოვრებიდან?**

— უყველაზე ბედნიერი ის დღე იყო, პირველად „დინამოს“ მაისური რომ ჩავიცვი. მახსოვს, როგორი რიდი მჭონდა ქართული ფეხბურთის კორიფეებისა, ასე მეგონა, პაიჭაძის, ღოღობერიძის, ჩოხელის, სიჭინავას გვარებს უნდა ეთამაშათ მხოლოდ „დინამოს“ შემადგენლობაში. დღესაც არ მავიწყდება ბატონი ანდროს სიტყვები „დიავოლ, მოემზადე“ და შემდეგ უკვე, მინდორზე გასვლას, მეგრულად მითხრა „—არ შეგეშინდესო“. ასე დამილოცა ამ ოთელმა პიროვნებამ გზა დიდ ფუტბურთში და რა დამავიწყებს ამ ნათქვამია, რამაც გაგაბედნიერო, იმან გაგაუბედუროსო. სამწუხაროს ის დღე იყო, „დინამოდან“ რომ წავედი. მაშინ ისეთი რამ გადავიტანე, იმის შემდეგ ძნელად რომ რამემ გული მატკინოს.

● **„უცოდველი ადამიანი არ არსებობსო“, — ნათქვამია. იქნებ გაჭვთ რაიმე ცოდვა, რისი გახსენება თქვენც ტვირთს შეგიმსუბუქებთ და ახალგაზრდებსაც გამოადგებათ.**

— მიგიხვდით, საითაც მიგყავთ საუბარი, მე არ მინდა წარსულში ვიქექო, თუნდაც იმიტომ, რომ მტკიცედ მჯერა, მე მართალი ვარ საკუთარ თავთან და, რაც მთავარია, ფეხბურთისთვის, ბურთისთვის არასოდეს მიღალატია.

● **მაშ ის ხმები... ყველაფერი მოგონილი იყო?**

— ვერ გეტყვით. მაშინ საშინელი რამ მოხდა ქართული ფეხბურთის ისტორიაში, როდესაც მთელმა გუნდმა თავისი კაპიტანი კედელთან მიაყენა და განაჩენი გამოუტანა.

● **მაპატიეთ, თქვენ წარსულის მტკივნეული ეპიზოდი რომ გაგახსენეთ, სხვა თუ გაქვთ რაიმე გასახსენებელი, რამაც გული გატკინათ, თუ დაჩაგრულხართ როდესმე ამის გამო, რომ ქართველი იყავიო?**

— არ ვიცი, ეს ქართველობით იყო თუ არა გამოწვეული, 1967, 1968, 1972 წლებში სპეციალურად ჩამოდიოდნენ მოსკოვიდან ჟურნალისტები, პირველ ფეხბურთელად უნდა დაგასახელონო — მეუბნებოდნენ და ინტერვიუს მთხოვდნენ. არც ერთხელ არ დაბეჭდილა ეს საუბრები, რადგან ბოლოს ვინმე რუსი აღმოჩნდებოდა ხოლმე საფეხბურთო პიედესტალზე.

● **ფეხბურთმა ამდენი ხამწუხარო მოგონება დაგიტოვათ, თქვენ კი კვლავ მას ემხახურებით...**

— მე ბურთი უზომოდ, ცოცხალ არსებასავით მიყვარს. არ მაინტერესებს, ვინ რა აზრისაა ჩემზე, მთავარია, ბურთთან კონტაქტის დამყარება ყოველთვის შეგძლო. მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, რომ სიცოცხლე გრძელდება.

ეხაუბრა ინგა ახვლედიანი.

...მხოლოდ დამოუკიდებელს აღიარებს

(დასასრული)

ეროვნული სტადიონის ოსტატ ფეხბურთელთა კლუბში, სადაც აღნიშნული შეკრება მოეწყო (მას მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო კონფერენცია ერქვა), გრძელი სიტყვები არ წარმოთქმულა, სპეციალისტები ისედაც კარგად იცნობენ არსებულ მდგომარეობას.

სწორედ ამას გაუსვა ხაზი თავის გამოსვლაში მძლეოსნობის რესპუბლიკური გაერთიანების უფროსმა თამაზ მდინარაძემ. „საქართველოში მძლეოსნობამ იმიტომ კი არ დაკარგა პოპულარობა, რომ ხალხს არ ესმის ამ სპორტის სახეობისა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს მძლეოსნებს დაბალი შედეგები აქვთ. მე ვესაუბრე ესპანეთის, იუგოსლავიის, ისრაელის მძლეოსნობის ფედერაციების ხელმძღვანელებს. ისინი სიამოვნებით ითანამშრომლებენ საქართველოს ფედერაციასთან, ოღონდ ჩვენი სპორტსმენებისგან შესაბამის შედეგებს მოითხოვენ, მაგალითად, სტრიჟაკოვი ჩვენთან და საბჭოთა კავშირშიც წამყვან მძლეოსნად ითვლება, მაგრამ თუკი ავიღებთ მსოფლიო კლასიფიკაციას, დავინახავთ, რომ იქ იგი მხოლოდ 39-ე ადგილზეა...

აქ სპეციალისტები ხართ შეკრებილნი და ჩვენ ერთად უნდა ვუშველოთ ჩვენს მძლეოსნობას“...

●●●●●●●●●●●●

მოახლოებული სიეტლი

კათილი ნების მეორე თამაშების დაწყებამდე (სიეტლი, 20 ივლისი — 5 აგვისტო) სულ რაღაც სამი კვირა დარჩა. წინასწარი მონაცემებით სპორტის 21 სახეობაში გამართულ ასპარეზობებში გამოვა 2500 სპორტსმენი. სიეტლში ვარაუდობენ 50-მდე ქვეყნის წარმომადგენელთა ჩასვლას.

საბჭოთა დელეგაცია ყველაზე დიდი იქნება მასპინძელთა შემდეგ. მასში ჩარიცხულია 650 სპორტსმენი, მწვრთნელი, მსაჯი, მედიცინის მუშაკი. საერთაშორისო და ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლები და იგი ყველაზე ტიტულოვანი და ძლიერია. ასე მაგალითად, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან სიეტლში გაემგზავრებიან სეულის ოლიმპიადის ჩემპიონები არსენ ფადაევი და მახარბეკ ხადარცევი, ტანმოვარჯიშეთაგან — სვეტლანა ბოგინსკაია, ძალოსანთაგან —იური ბახარევიჩი, ალექსანდრე კურლოვიჩი, ანატოლი ბრაპატნი, მხატვრულ ტანმოვარჯიშეთაგან — ალექსანდრა ტიმოშენკო, და კიდევ ბევრი სხვა.

თამაშების მასპინძელთა თხოვნით მოკრივეთა გუნდში შეყვანილია 24 მონაწილე — ყოველ წონაში 2-2, მათ შორის — აირატ ხამატოვი, ისრაელ აკოფკოხიანი, ანდრეი კურნიავკა, კონსტანტინე ცზიუ და სხვ.

მსაჯთა კორპუსიც წარსულში საკმაოდ პოპულარული სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. ტანმოვარჯიშეთა შორის არიან ოლიმპიური თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებულნი ლიუდმილა ტურიშჩევა, ბორის შახლინი, ნიკოლოზ ანდრიანოვი, ცეგურებით ფიგურულ სრიალში — ალექსანდრე. გორშკოვი...

გუშინ სიეტლში გაფრინდნენ საბჭოთა ბეისბოლისტები. თამაშების დაწყებამდე ისინი რამდენიმე ამხანაგური შეხვედრას გამართავენ ადგილობრივ სპორტსმენებთან. 16 ივლისს აშშ-ს გაემგზავრებიან ფრენბურთელები, წყალბურთელები, ხელბურთელები და ტანმოვარჯიშეები, მერე კი სპორტის დანარჩენი სახეობის წარმომადგენლები.

საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ევგენი გაგუამ ილაპარაკა ბოლო დროს მძლეოსნობაში დანერგილ სიახლეებზე, რომლის შესახებ ინფორმაცია უკვე მოგაწოდეთ. გაზეთ „ლელოს“ მეშვეობით. იქნებ გახსოვდეთ, ლაპარაკი იყო რეიტინგების დაწესებაზე, რის შემდეგ, ავტორთა აზრით, იოლდება სპორტსმენთა კვალიფიკაციისა და მწვრთნელთა მუშაობის შეფასება. მანვე დაასახელა სპეციალისტები, რომლებიც რეიტინგმა „გამოარჩია“ სხვებისაგან: ომარ ოდიშვილი, ანატოლი ანდრეევი, ავთანდილ ბერიძე, ვასილ შმაკოვი. ევგენი საპრონოვი, გივი ჩადუნელი, სერგეი ძურძუკი, მამია ტუღუში, ანატოლი ანტონოვი... უფროს მწვრთნელს ვეთანხმებით იმაშიც, რომ სპორტულ საზოგადოებათა მეშვეობით სპორტის განვითარება შეფერხდა და უახლოეს მომავალში, უეჭველია, საკლუბო სპორტს მიეცემა მეტი გასაქანი.

საყურადღებო იყო რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის კონსტანტინ მალიშკოვის გამოსვლაც. „საკვირველია გაუთავებელი საწვრთნელი შეკრებების მოწყობა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, — თქვა მან, — საამისოდ საქართველოშიც ბევრი მშვენიერი ადგილია“... კ. მალიშკოვმა, ცხადია, მსაჯობის პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება...

23 ივნისი აღნიშნული კონფერენციის ჩატარებისთვის შესანიშნავი დრო გახლდათ, რადგან საღამოს საქართველოს ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო და მძლეოსნობის თითქმის ყველა სპეციალისტი თბილისში იმყოფებოდა. კრებაზე დიდი მადლობა უთხრეს საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის ყოფილ თავმჯდომარეს, საქმთავარსპეცმონტაჟის უფროსს გივი გამყრელიძეს, ოღონდ არ დამშვიდობებიან—ბატონი გივი ახალი ფედერაციის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. რადგან ხელსაყრელი დრო იყო, მან თავისი ორგანიზაციის სახელით იქვე დააწესა წამახალისებელი პრიზები (500-500 მანეთი), იმათთვის, ვინც საუკეთესო შედეგებს აჩვენებდა რესპუბლიკის ჩემპიონატში ქალთა და ვაჟთა შორის.

ვიდრე ფედერაციის ახალ პრეზიდიუმს აირჩევდნენ, სწორედ დროული იყო საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრის, რესპუბლიკის სპორტულ ფედერაციათა კავშირის თავმჯდომარის ვანო ყიფიანის გამოსვლა. მოკლედ მოვიყვანთ მის სიტყვას.

— „გაითვალისწინეთ, რომ ოლიმპიური ქარტია აღიარებს მხოლოდ დამოუკიდებელ ფედერაციებს და თქვენს ფედერაციასაც ასეთი სტატუსი უნდა ჰქონდეს. მან თვითონ, ერთპიროვნულად უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა და იმედი მაქვს, აქ სწორედ ასეთი ფედერაციის არჩევის მოწმე გავხდებით. ოლიმპიურმა, კომიტეტმა, უბრალოდ, კოორდინაცია უნდა გაუწიოს ფედერაციათა მუშაობას, გთხოვთ ისიც გაითვალისწინოთ, რომ მუშაობაში ახლა ძველებური რეგიონალური პრინციპით ვხელმძღვანელობთ, განვიხილავთ არა რაიონებს, არამედ, ვთქვათ, იმერეთს, გურიას, აფხაზეთს და ასე შემდეგ“...

კონფერენციის ზოგიერთმა მონაწილემ ეჭვი გამოთქვა ასეთი, მათი აზრით, ხაიდრევი დამოუკიდებლობის გამო. „თუკი მთლიანად გამგეყოფით, ვერსად ვეღარ წვავალთ შეჯიბრებებზე და მძლეოსნობის დონე კიდევ უფრო დაქვეითდება,“ — თქვა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორმა ედუარდ ლომთაძემ, საერთოდ, ამ საკითხზე ცხარე კამათი გაიმართა, თუმცა, საერთო პოზიცია, უკვე გითხარით, სექტემბრისათვის უნდა შემუშავდეს.

შემდეგ დაიწყო არჩევნები. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს თამაზ მდინარაძე, მის მოადგილედ — ლერი ანთაძე. დღე ორივე რესპუბლიკის რეკორდსმენები იყვნენ სპრინტერულ დისტანციებზე. აირჩიეს პრეზიდიუმის შემადგენლობაც, ოღონდ იქ ვაკანტური ადგილები დატოვეს აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებისათვის. ამ კანდიდატების არჩევა კი თვით რეგიონებს მიანდეს. რესპუბლიკის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარედ კვლავ დაამტკიცეს კონსტანტინ მალიშკოვი, ხოლო მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ — ევგენი გაგუა და ორივე ავტომატურად შეიყვანეს პრეზიდიუმის შემადგენლობაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა დასახელებული კანდიდატი თავისუფლად აირჩიეს, რაც ალბათ იმითაც იყო გამოწვეული, რომ ყველა კარგად იცნობდა ერთმანეთს.

ნახევარი საათის შემდეგ კი ეროვნულ სტადიონზე დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

გიორგი პავლიაშვილი.

საბჭოთა კომპოზიცია ——— ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

ავტოგრელი

ძველია კონკურენცია გაუწიოს ფეხბურთის ჩვენმა რუბრიკამ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. ახლა ძალაუნებურად სპორტის სხვა სახეობის და მათ შორის ჰადრაკის თემაც საფეხბურთო მოტივებზე აეღერებას ითხოვს. მართალია, საფეხბურთო ტერმინოლოგიამ და ჟურნალისტიკამ დიდიხანია გაითავისა ბევრი საჰადრაკო ცნება. მოჰადრაკე პ. ტროგერმა კი, რომელიც ოსტატის წოდებასთან ერთად ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მფლობელია და პოპულარულ სპორტულ ჟურნალისტად ითვლება გფრ-ში, სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ამ ორი თამაშის ურთიერთკავშირს სახელწოდებით: „ჰადრაკი დაფაზე და ბალახზე“. სხვათა შორის, მას სანიმუშოდ მოყავს 1895 წელს ემანუელ ლასკერის მოსაზრება: „დაცვის არსი მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შეტევას შეუშალოს ხელი. არსებობს პრინციპი, რომელიც დამცველის ამოცანას გარდაქმნის ნეგატიურისა და დამანგრეველიდან შექმნისა და შემოქმედებისათვის“. დაგვეთანხმებით, რომ ეს აზრი თანაბრად აქტუალურია დღევანდელი ფეხბურთისა და ჰადრაკისათვის.

აქვე დავსძენთ, რომ გამოჩენილმა მწვრთნელმა დიტმარ კრამერმა, რომლის წინამძღოლობით მიუნხენის „ბაიერნმა“ უდიდეს წარმატებებს მიაღწია უეფა-ს ტურნირებში, 1977 წელს შემდეგ საინტერესო „საჰადრაკო“ შედარებას მიმართა: „ჩემი ბიჭები „ბაიერნიდან“ მსოფლიო ჩემპიონის ანატოლი კარპოვის ს ტილში თამაშობენ. მისთვის ხომ მთავარი შედეგია და არა მისი მიღწევის წესი. ჩვენს მეტოქეებზე ისე ხშირად წერენ, რომ მათ ჩვენზე უფრო კომბინაციური და შემტევი სტილი აქვთ, რომ ერთადერთ ნუგეშად ისღა რჩება: დავამარცხოთ ისინი“.

1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში თავი ისახელა არგენტინის ნაკრების დამცველმა ოსვალდო არდილესმა, რომელიც მაღალი ტექნიკის გარდა მინდორზე მეტად სწრაფი საფეხბურთო აზროვნებით გამოირჩეოდა. მოგვიანებით, როცა იგი ინგლისის კლუბ „ტოტენჰემ ხოთსპურში“ თამაშობდა, ლონდონის ერთერთი საჰადრაკო კლუბის ხშირი სტუმარი გახდა და რამდენიმე ბლიც-ტურნირიც მოიგო. „ფეხბურთსა და ელვისებურ ჰადრაკს,— განაცხადა არდილესმა, — ბევრი საერთო აქვთ. ორივე შემთხვევაში მთავარია, სწრაფად აუღოთ ალღო იმას, თუ რა ხდება მოედანზე ან დაფაზე და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება; დანარჩენი კი, როგორც იტყვიან — ტექნიკის საქმეა“.

ჩვენის მხრივ დავამატებთ, რომ საჰადრაკო კომპოზიციაში მოიძებნება მაგალითები, რომლებიც რასაკვირველია, პირობითად საფეხბურთო ვითარების ამსახველ ეპიზოდებად შეიძლება ჩაითვალოს.

ლ. ლარსენი, 1939



შამათი 3 სვლაში

1. e1h8! მძიმე გასაჭირში აყენებს შავებს. მათ ორი გაგრძელება აქვთ, მაგრამ ორივე შემთხვევაში — პასიური: 1. ...g5 2. h3! და 1. ...g6 2. h4! ადვილად მიხვდებით, რომ ცუნცცვანგში ჩავარდნილი შავი პაიკი იძულებულია თავის მეტოქე თეთრ პაიკს „აუბას მხარი“ და ავტოგოლები გაიტანოს საკუთარ კარში.

კ. ზგონნიკი, 1916



შამათი 3 სვლაში

აშოცანის ავტორი გამოჩენილი პოლონელი ფეხბურთელი ბონეკი არ გეგონოთ. ამ სამსვლიან ამოცანაში წინა ნაწარმოებთან შედარებით უფრო საინტერესო თამაშია. მოძებნეთ შავების დაცვებიც და მათი პაიკის „ავტოგოლი“, ძვირფასო მეგობრებო!

დიუკის უნივერსიტეტი

ამერიკული სტუდენტური კალათბურთი წარმოადგენს იმ სისხლსავსე არტერიას, რომელიც პროფესიულ კალათბურთს ჰკვებავს. ამიტომ, ვიმედოვნებთ, რომ მცირე ინფორმაცია სტუდენტური კალათბურთის უძლიერესი გუნდების შესახებ საინტერესო უნდა იყოს. ამ მხრივ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის ამერიკელი მიმომხილველის ბობ სკალცას წერილი „საუნივერსიტეტო კალათბურთის მიმოხილვა“, რომელიც დაისტამბა ჟურნალ „ბასკეტბალ ერინაში“.

ამჯერად ვისაუბრებთ სტუდენტური ჩემპიონატის ფინალისტ დიუკის უნივერსიტეტზე. პირველ ყოვლისა, ორიოდე სიტყვა გუნდის უფროსი მწვრთნელის მაიკლ კრიჟევსკის შესახებ, რომელიც, უდავოდ, ერთ-ერთი კოლორიტური ფიგურაა ამერიკის სტუდენტურ კალათბურთში. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ მაიკლ კრიჟევსკი დაინიშნა აშშ-ს ნაკრების უფროს მწვრთნელად და უხელმძღვანელებს გუნდს მსოფლიოს XI ჩემპიონატზე არგენტინაში, რომელიც დაიწყება აგვისტოში. ბოლო წლებში დიუკის უნივერსიტეტის წარმატებას, სავსებით სამართლიანად, უკავშირებენ ამ მწვრთნელის სახელს. ამ მოსაზრებაში ეჭვის შეტანა ძნელია. მას აქვს საკუთარი სათამაშო კონცეფცია, რომლის რეალიზებიც შემოწმებულია პრაქტიკის მიერ. ამ პროგრამამ საშუალება მისცა მას იოლად დაეძლია გუნდიდან უძლიერესი მოთამაშეების დანი ფერის (მან მას შემდეგ, რაც ერთი სეზონი გაატარა რომის „შესჯეროში“, ხელი მოაწერა კონტრაქტს პროფესიულ კლუბ „კლივლენდ კავალიერსთან“. ფერი აპირებს არგენტინაში მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშს), ფილ ჰენდერსონის და ჯონ სმითის წასვლა. „ლურჯი ეშმაკები“ ასე უწოდებენ ამ გუნდს, მაინც დარჩა ნკაა-ს უძლიერეს გუნდად და ასე განსაჯეთ, წელს სტუდენტური ჩემპიონატის ფინალამდე მიაღწია, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მაიკლ კრიჟევსკის პროგრამის თავისებური ტრიუმფი.

რეზერვებთან გააზრებული მუშაობის წყალობით კრიჟევსკიმ შესძლო სწრაფად მოენახა შემცვლელი დანი ფერისათვის. ასეთად ბობ სკალცა მიიჩნევს ქრისტიან ლეიტნერს (205 სმ). მისი შესაძლებლობები განსაკუთრებით კარგად გაირკვა მაშინ, როდესაც მან შეძლო ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ლიდერის ალონზო მერნინგის ნეიტრალიზება. ლეიტნერის ღირსებად ამერიკელი მიმომხილველები უნივერსალიზმს ასახელებენ. გამოირჩევა პასის მაღალი კულტურით. მას თავდასხმაში პარტნიორობას უწევენ ალა აბდელნაბი, რომელიც განუწყვეტლივ სრულყოფს თამაშს და რობერტ ბრაიკი, რომელიც მიუხედავად თავისი 198 სმ სიმაღლისა, ტოლს არ უდებს უფრო ტანმაღალ პარტნიორებს და მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა.

ბობ სკალცა ფიქრობს, რომ „დაცვას, ალბათ, დაამშვენებს სენსაციად ქცეული ახალწვეული ქ. ჯერსის წმინდა ანტონის კოლეჯიდან მოსული ბობ ჰარლეი“.

ასე, რომ მაიკლ კრიჟევსკის პროგრამა კვლავინდებურად სპეციალისტთა მაღალ შეფასებას იმსახურებს.

მერაბ კალანდაძე,
ავთანდილ მაღრაძე.

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 25-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 21 (ცურვა), 28 (ტყვიის სროლა), 37 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 6 (ძიუდო), 10 (წყალბურთი), 19 (სათხილამურო რბოლები), 33 (ფეხბურთი).

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ასპ-ის სტადიონი
(ბოჭორმის ქ. №18)

5 ივლისი

ფეხბურთი

საქართველოს თახის გათამაშება
(1/16 ფინალი)

„მრეტები“ (თბილისი) —
„ლიახვი“ (ცხინვალი)

დასაწყისი 18 საათზე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული. კორექტორები ლ. სარალიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008,
თბილისი, ქ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-26, „მაცნე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380008, თბილისი, ქ. კოსტავას ქ. 14, აწყობა ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელწერილი ავტორებს არ ებრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779